ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 24 დეკემბრის სხდომის

ოქმი #11

2021 წლის 24 დეკემბერს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 37 წევრი, სხდომას ესწრებოდა 23 წევრი. სხდომას ასევე ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი თ.ჭელიძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში;
2. ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული 2 სტატიის დაფინანსების შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. ინფორმაცია ცვლილებების შესახებ წინასწარ დაეგზავნათ ფაკულტეტის საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 1.1). საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. ცვლილებები შეეხო ქიმიის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, ასევე სამაგისტრო პროგრამას „ქიმიური ექსპერტიზა“. ცვლილებები განხორციელდა პროგრამების აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად, ექვსთვიანი ანგარიშის ფარგლებში. ამის გარდა ცვლილება შეეხო სამაგისტრო პროგრამას „ინფორმაციული სისტემები“ - დაზუსტდა ერთ-ერთი საგნის წინაპირობა. ქალბატონმა თამარმა დასამტკიცებლად ასევე წარმოადგინა დოქტორანტის სემინარისა და სამეცნიერო კვლევითი პროექტის გაფორმების კორექტირებული წესი, რომელიც მოძველებული იყო და საჭიროებდა განახლებას (იხ. დანართი 1.2). ცვლილებები განხორციელდა მათემატიკის სადოქტორო პროგრამაშიც. რადგან მათემატიკის ინგლისურენოვან სადოქტორო პროგრამას აკრედიტაციის ვადა ეწურება 2022 წლის 24 იანვარს, პროგრამის ხელმძღვანელების ინიციატივით გადაწყდა, რომ ეს პროგრამა გარკვეული ფორმით შერწყმოდა არსებულ ქართულენოვან პროგრამას. ამან გამოიწვია მხოლოდ ორი ცვლილება ქართულენოვან პროგრამაში: პირველი - პროგრამაზე სწავლების ენა იქნება ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით, რაც საშუალებას მისცემს უცხოელ ლექტორებს წაუკითხონ ლექციები პროგრამის სტუდენტებს, და

მეორე - ხელმძღვანელებს დაემატება გიოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორი რალფ მაიერი, რომელთანაც დეპარტამენტის პროფესორებს დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებთ (იხ. დანართი 1.3).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ბ.თუთბერიძემ, ი.ჩიკვაიძემ, ო.ფურთუხიამ, დ.ძიძიგურმა. ბატონმა ომარმა რამოდენიმე განმარტება გააკეთა მათემატიკის სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით. ბატონმა ბეჟანმა ხაზი გაუსვა ქალბატონი თამარ ჭელიძის დამსახურებას ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციის საქმეში, რაშიც ყველა დაეთანხმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესახებ (იხ. დანართები 1).

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართები 1).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი – ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული 2 სტატიის დაფინანსების შესახებ (იხ. დანართი 2), აქედან, ერთი ნაშრომი წარდგენილია საფაკულტეტო დაფინანსებაზე, ხოლო მეორე ნაშრომს რეკომენდაცია უნდა მიეცეს საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე. საფაკულტეტო დაფინანსების თანხა (2500 ლარის ოდენობით) უნდა გაიცეს ფაკულტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან, ხოლო საუნივერსიტეტო დაფინანსების თანხა (ასევე 2500 ლარი) - უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი ხარჯის მუხლიდან.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ა.შენგელაიამ, ო.ფურთუხიამ, ე.ნადარაიამ, რ.გახოკიძემ, გ.სირბილაძემ. ა.შენგელაიამ წინადადება წამოაყენა, რომ საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე წარსადგენი სტატიებისათვის, პროცესის მოქნილობისათვის, საკმარისი იყოს დეკანის ვიზირება. მსჯელობის შედეგად საბჭოს წევრები შეჯერდნენ და გადაწყვიტეს კენჭი ეყარათ ამ საკითხისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ორი საკითხი:

ა) ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული 2 სტატიისთვის ავტორის დაფინანსების შესახებ (იხ. დანართი 2);

ბ) რექტორის N 12/04 (19/05/2021) ბრძანების თანახმად განსაზღვრული კატეგორიის სტატიების საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე წარდგენა 2022 წლიდან მოხდეს დეკანის გადაწყვეტილებით.

კენჭისყრის შედეგები: ორივე საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ა) ტომსონ-როიტერის კლასიფიკაციით დადებითი იმფაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნებული 2 სტატიისთვის ავტორი დაფინანსდეს დანართი 2-ის შესაბამისად;

ბ) რექტორის N 12/04 (19/05/2021) ბრძანების თანახმად განსაზღვრული კატეგორიის სტატიების საუნივერსიტეტო დაფინანსებაზე წარდგენა 2022 წლიდან მოხდეს დეკანის გადაწყვეტილებით.

3. დღის წესრიგის მესამე, მიმდინარე საკითხები. მიმდინარე საკითხებში განხილული იყო:

ა) ბიოეთიკის კომისიის შექმნის შესახებ (პროფ. დ.ძიძიგური);

ბ)Web of Science-ის მიხედვით Q1 კატეგორიის (Web of Science, JCR Category, Quartile Q1) ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების დამატებით დაფინანსების შესახებ (პროფ. გ.სირბილაძე).

ა) მოისმინეს: პროფესორ დ.ძიძიგურის წინადადება ბიოეთიკის კომისიის შექმნის აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული საკითხი წამოიჭრა როგორც პროგრამების აკრედიტაციის მოთხოვნებიდან, ასევე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების სტანდარტის ფარგლებში მიმდინარეობის დადასტურების საჭიროებიდან გამომდინარე.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ო.მუკბანიანმა, ა.შენგელაიამ, თ.დავითაშვილმა, ნ.დორეულმა, ბ.თუთბერიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბიოეთიკის კომიტეტის შექმნის მიზნით ადმინისტრაციისთვის შუამდგომლობით მიმართვაზე.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ეთხოვოს თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს გაგვიწიოს თანადგომა ბიოეთიკის კომიტეტის შექმნის საკითხში, თსუ-ის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ფარგლებში ექსპერიმენტების ჩატარების სტანდარტების უზრუნველყოფისათვის.

ბ) მოისმინეს: პროფესორმა გ.სირბილაძემ ხელახლა წამოაყენა ადრე პროფესორ უ.გოგინავას მიერ წამოჭრილი საკითხი Web of Science-ის მიხედვით Q1 კატეგორიის (Web of Science, JCR Category, Quartile Q1) ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების დამატებით 500 ლარით დაფინანსების შესახებ ფაკულტეტის ბიუჯეტიდან (3000 ლარი ნაცვლად 2500 ლარისა).

აზრი გამოთქვეს: საკითხის განხილვაში საბჭოს თითქმის ყველა წევრმა მიიღო მონაწილეობა. უმეტესობა შეჯერდა იმ აზრზე, რომ გამორჩეულად პრესტიჟულ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებისთვის ჯილდო არსებულ 2500 ლარზე მეტი იყოს, მით უმეტეს, რომ ასეთი სტატიების რაოდენობა ფაკულტეტზე ყოველწლიურად ბევრი არ არის და ფაკულტეტის ბიუჯეტი ამას გასწვდება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი Web of Science-ის მიხედვით Q1 კატეგორიის (Web of Science, JCR Category, Quartile Q1) ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების 3000 ლარით დაფინანსების შესახებ ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: Web of Science-ის მიხედვით Q1 კატეგორიის (Web of Science, JCR Category, Quartile Q1) ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებისთვის საფაკულტეტო დაფინანსება განისაზღვროს 3000 ლარით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი